საჯარო სამართლის იურიდიული პირი

**მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტო**

KA020103602521622

**თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ: 0 32 2 95 00 30**

# ბრძანება № 1382/ს

**14 / დეკემბერი / 2022 წ.**

**შპს „ირაგა“-ზე (ს/ნ 405318534) გაცემული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების №163 ლიცენზია - ბრძანებით გათვალისწინებული წიაღისეულის ათვისების გეგმის დამტკიცების თაობაზე**

საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №136 დადგენილებით დამტკიცებული „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ“ დებულების მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2018 წლის 4 იანვრის №1-1/2 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს დებულების მე-2 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის და მე-4 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის, „შპს „ირაგა“-ზე (ს/ნ 405318534) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ“ სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს უფროსის 2022 წლის 14 ნოემბრის №163 ლიცენზია - ბრძანების და „შპს „ირაგა“-ს ((ID: 75579, შტრიხკოდი: 3060297, 28.11.2022წ.) სააგენტოში შემოსვლის №12035, 30.11.2022წ.) განცხადების საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. დამტკიცდეს, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში, ირაგას ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე, შპს „ირაგა“-ზე (ს/ნ 405318534) გაცემული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების № 163 ლიცენზია - ბრძანებით გათვალისწინებული წიაღისეულის: ბაზალტის (მოსაპირკეთებელი) ათვისების გეგმა მოცემული ცხრილის შესაბამისად:

| წელი | ასათვისებელი რესურსის ოდენობა მ3 |
|---|---|
| **2022** | **100** |
| **2023** | **6250** |
| **2024** | **10000** |
| **2025** | **15000** |
| **2026** | **15000** |

| | |
|---|---|
| **2027 წლის15 ნოემბრამდე** | **15000** |

2. ბრძანება გასაცნობად გადაეცეს დაინტერესებულ მხარეს;

3. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში (ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. №2).

სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს უფროსი

ხელმოწერილია/
შტამპადასმულია
ელექტრონულად

ანდრო ასლანიშვილი